თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს
2018 წლის 30 მარტი
სხდომის ოქმი #6

სხდომას ესწრებოდნენ: ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი–28, სტუდენტი – 10, სულ–38 წევრი.

დღის წესრიგი

1. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის არჩევნები.

პროფ. თ. შენგელიამ საბჭოს წევრებს შესთავაზა, რომ ფაკულტეტის საბჭოს სხდომა გახსნას საბჭოს უხუცესმა წევრმა, ასოც. პროფ. ნ. პაიჭაძემ. ასოც. პროფ. ნ. პაიჭაძემ გახსნა საბჭოს სხდომა.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს დებულების პროცედურის მიხედვით ასოც. პროფ. ნ. პაიჭაძემ დაასახელა ფაკულტეტის საბჭოს სხდომის თავმჯდომარის კანდიდატურა - აკადემიკოსი ა. სილაგაძე.

ფაკულტეტის საბჭომ ერთხმად დაუჭირა მხარი აღნიშნულ კანდიდატურას.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა აკადემიკოსი ა. სილაგაძე.
სხდომის თავმჯდომარემ, აკად. ა. სილაგაძემ კენჭისყრაზე დასვა დღის წესრიგის დამტკიცების საკითხი.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 38**
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2018 წლის 30 მარტის სხდომის #6-ის დღის წესრიგი.

ბატონმა ა. სილაგაძემ აღნიშნა, რომ ფაკულტეტის დეკანის საარჩევნო პროცედურას განსაზღვრავს თსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება №135/2013 - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის თანამდებობის დაკავებასთან დაკავშირებული საარჩევნო პროცედურების დამტკიცების თაობაზე.

აკად. ა. სილაგაძემ საბჭოს წევრებს გააცნო დეკანის თანამდებობის დაკავებასთან დაკავშირებული საარჩევნო პროცედურები თსუ აკადემიური საბჭოს №135/2013 დადგენილების შესაბამისად. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ადმინისტრაციის მიერ მომზადდა კანდიდატთა ბიულეტენები, რომლებიც ჩაბარდება საარჩევნო კომისიას. საარჩევნო პროცესი დაიწყება დღის 12:00 საათზე და დასრულდება 15:00 საათზე. დაბეჭდილია 38 ძირითადი და 10 სარეზერვო ბიულეტენი. ბიულეტენზე უნდა დაფიქსირდეს საარჩევნო კომისიის ხელმოწერები, ამასთან სასურველია, რომ საბჭოს წევრებმა მობილური ტელეფონები არ გამოიყენონ ხმის მიცემის პროცედურის პროცესში. ხმის მიცემა უნდა დაფიქსირდეს მხოლოდ ერთი კანდიდატურის შემოხაზვით.

აკად. ა. სილაგაძემ ასევე ისაუბრა საარჩევნო კომისიის მიერ ხმის დათვლის პროცედურის, გამარჯვებული კანდიდატურის დასახელების და შემაჯამებელი ოქმის შედგენის საკითხებზე, ასევე საჭიროების შემთხვევაში არჩევნების მეორე ტურის ჩატარების პროცედურულ საკითხებზე.

მას შემდეგ რაც საბჭოს წევრებს პრეტენზია არ გამოუთქვამთ პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით და დაეთანხმენ გამოთქმულ მოსაზრებებს, აკად. ა. სილაგაძემ საბჭოს წევრებს მიმართა, რომ დეკანის არჩევნების ჩასატარებლად აუცილებელია საარჩევნო კომისიის არჩევა და თხოვა დაასახელონ კანდიდატურები. საბჭოს წევრების მიერ, საარჩევნო კომისიის წევრებად დასახელდნენ პროფესორი ე. მექვაბიშვილი, ასოც. პროფ. ნ. პაიჭაძე და სტუდენტი ტ. გაგელიძე.

საბჭომ ერთხმად დაუჭირა მხარი წარმოდგენილ კანდიდატურებს.

დადგენილი წესის შესაბამისად წარიმართა-ჩატარდა არჩევნების პროცედურა. 15 საათზე გაიხსნა საარჩევნო ყუთი. ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარემ პროფესორმა ა. მექვაბიშვილმა საბჭოს გააცნო არსებული მდგომარეობა - დაბეჭდილ იქნა 48 ბიულეტენი, გამოყენებულ იქნა 37 ბიულეტენი და შესაბამისად, ყუთში აღმოჩნდა 37 ბიულეტენი. შედეგები: დადებითი - 36, ბათილი - 1.
გამოცხადდა არჩევნების შედეგები:

1. პროფ. თეიმურაზ ბერიძე - ხმების რაოდენობა-6;
2. პროფ. გიორგი ღაღანიძე - ხმების რაოდენობა-22;
3. ასოც. პროფ. ე. ჩოხელი - ხმების რაოდენობა-8.

კენჭისყრის შედეგების დამტკიცებამდე, სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს: ხომ არ ჰქონდათ რაიმე შენიშვნა-პრეტენზია ჩატარებულ არჩევნებთან და მიღებულ შედეგებთან დაკავშირებით. შენიშვნა-პრეტენზია არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, აკად. ა. სილაგაძემ კენჭისყრაზე დასვა საკითხი ხმისდამთვლელი კომისიის მიერ წარმოდგენილი არჩევნების შედეგების დამტკიცების თაობაზე.

საბჭოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს ხმის დამთვლელი კომისიის მიერ წარმოდგენილი კენჭისყრის შედეგები, რის საფუძველზეც ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადდა კანდიდატი, რომელმაც კენჭისყრის შედეგად მიიღო ხმების უმრავლესობა - პროფ. გიორგი ღაღანიძე.

კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 34**
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადდა პროფ. გიორგი ღაღანიძე.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,
აკადემიკოსი: ა. სილაგაძე

ფაკულტეტის მდივანი,
ასოცირებული პროფესორი: მ. ნაცვალაძე